სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20/01/2026

MES 4 26 0000041114

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის წესით გადამსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (20/01/2026წ; №39960) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა) შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში განცხადების წარდგენის ვადა განისაზღვროს - 2026 წლის 2 თებერვლიდან 2026 წლის 17 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ფაკულტეტების მიერ შიდა მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადა განისაზღვროს - 2026 წლის 17 თებერვლიდან 2026 წლის 19 თებერვლის ჩათვლით;
გ) დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სტუდენტთა შიდა მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2026 წლის 19 თებერვალს.

2. ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
3. სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
8. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში;
9. დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა